

## EU4Energy კონკურსი ენერგეტიკული ბაზრების თემაზე (2019 წლის 11 – 19 იანვარი)

### გიწვევთ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

ცხოვრობთ აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთში ან უკრაინაში? თუ ასეა, რატომ არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს EU4Energy კონკურსში? <sup>1</sup> გაეცით სწორი პასუხი ჩვენი ოთხი კითხვიდან მინიმუმ ერთს ჩვენი სოციალური მედიის არხებზე და მიიღეთ პრიზის მოგების შანსი.

კონკურსის თემა - ენერგეტიკის ბაზრები - გიწვევთ გამოსცადოთ საკუთარი ცოდნა ენერგეტიკის განვითარების საკითხებზე თქვენს ქვეყანასა და რეგიონში, ასევე გაეცნოთ ახალ საინტერესო ფაქტებს ენერჯის წყაროების და ენერჯის მოხმარების შესახებ.



<sup>1</sup> კონკურსს ახორციელებს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული EU4Energy საკომუნიკაციო პროექტი.

## კონკურსის წესები

**კონკურსის თემა:** სოციალურ მედიაში გამართული კონკურსის ორგანიზატორია EU4Energy საკომუნიკაციო პროექტი. კონკურსის თემაა **ენერგეტიკის ბაზრები**. გემლევით წინადადება შეამოწმეთ საკუთარი ცოდნა ენერგეტიკის განვითარების საკითხებზე აღმოსავლეთ სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებში, ასევე გაეცნოთ ახალ საინტერესო ფაქტებს ენერჯის წყაროების და ენერჯის მოხმარების შესახებ.

**კონკურსში მონაწილეობის პირობები:** კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ აზერბაიჯანის, ბელარუსის, მოლდოვის, საქართველოს, სომხეთის და უკრაინის მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ პირადი ანგარიში სოციალურ ქსელებში Facebook, Instagram ან VKontakte, და რომლებიც არიან მინიმუმ თვრამეტი (18) წლის. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ EU4Energy საკომუნიკაციო პროექტის თანამშრომლებს, ინტერნებს, ან გუნდის წევრების პარტნიორებს, ასევე ამ თანამშრომლების საკუთარი ოჯახის წევრებს და ნათესავებს.

**ორგანიზატორი:** კონკურსი ორგანიზებულია EU4Energy საკომუნიკაციო პროექტის მიერ („ორგანიზატორი“). კონკურსი არაფრით უკავშირდება Facebook-ს; Facebook ასევე არ არის კონკურსის სპონსორი/მხარდამჭერი/ადმინისტრატორი.

**ვადები და მონაწილეობა:** კონკურსი გაგრძელდება **2019 წლის 11 იანვრიდან 19 იანვრამდე** და მოიცავს ოთხ კითხვას. მომხმარებლებს შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობა პასუხების დაპოსტვით კითხვის ქვეშ, კომენტარების ნაწილში, „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს“ თაიმლაინზე პროექტის [Facebook](#), [Instagram](#) და [Vkontakte](#) ანგარიშებზე.

პასუხების დაპოსტვა საჭიროა ინდივიდუალური, პერსონალური ანგარიშებიდან. თითოეულ საკონკურსო კითხვაზე ერთ პიროვნებას აქვს ერთი პასუხის გაცემის უფლება. თითოეულ კითხვაზე სწორი პასუხი მოწოდებული იქნება თითოეული კითხვის გამოქვეყნებიდან 48 საათის განმავლობაში. სწორი პასუხის გამოქვეყნების შემდეგ კითხვის ქვეშ დაპოსტილი პასუხები აღარ მიიღება.

**გამარჯვებულების შერჩევა:** მონაწილეები, რომლებიც გასცემენ სწორ პასუხს ოთხი კითხვიდან ერთს, მონაწილეობას მიიღებენ ლატარიაში გამარჯვებულების შესარჩევად. მონაწილის მიერ ერთ კითხვაზე სწორად გაცემული პასუხი ნიშნავს ლატარიაში ერთხელ მონაწილეობის უფლებას (ოთხ კითხვაზე სწორად გაცემული პასუხები ნიშნავს ლატარიაში ოთხჯერ მონაწილეობის უფლებას). გამოყენებული იქნება შემთხვევითი შერჩევის პროგრამული უზრუნველყოფა (random.org) იმ გამარჯვებულების შესარჩევად, რომლებმაც შეიძლება მოიგონ პრიზი. შემთხვევითი შერჩევით მიიღება სია, რომლის პირველ ადგილზე მოხვედრილ ადამიანს გადაეცემა მთავარი პრიზი. გარდა ამისა, გაიცემა კიდევ ცხრა პრიზი. გამარჯვებულები შეირჩევიან ოთხივე სწორი პასუხის გამოქვეყნების შემდეგ იმ სოციალური მედიის გვერდებზე, რომლებზეც მიმდინარეობს კონკურსი.

**პრიზი:** გამარჯვებულებს გადაეცემა<sup>2</sup> 10 პრიზი. მთავარი პრიზი - ელექტროსკუტერი გადაეცემა მთავარ გამარჯვებულს. პრიზის სხვა პირისთვის გადაცემა დაუშვებელია და ის უნდა მიიღოს იმ პირმა, ვინც ეს პრიზი მოიგო. გამარჯვებულს არ შეუძლია მოითხოვოს თანხა ან რაიმე სხვა პრიზი. არ დაუკავშირდეთ ორგანიზატორს კონკურსის სტატუსის თაობაზე. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ ორგანიზატორი შეატყობინებს გამარჯვებულებს მონაწილეების მიერ მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით. თუ გამარჯვებული არ დაუკავშირდება ორგანიზატორს შედეგების გამოცხადებიდან ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში, გამარჯვებულად შეირჩევა სიაში მისი მომდევნო ადამიანი.

**ზოგადი პირობები:** ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მოახდინოს ნებისმიერი პირის დისკვალიფიკაცია, ვინც დაარღვევს კონკურსის მსვლელობას, წესებს, ან გამოავლენს დესტრუქციულ ან უღირს საქციელს. ონლაინ წარდგენილი მასალების მფლობელობის თაობაზე დავის შემთხვევაში, მასალების მფლობელად ანგარიშის ავტორიზებული მფლობელი ჩაითვლება.

**პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება და პასუხისმგებლობის ფარგლები:** კონკურსში მონაწილეობით კონკურსანტი თანხმდება არ დაავალდებულოს და გაათავისუფლოს ორგანიზატორი, Facebook, მათი შესაბამისი სათაო ორგანიზაციები, შვილობილი კომპანიები და ფილიალები, ასევე მათი შესაბამისი თანამშრომლები, დირექტორები, დაქირავებული პირები და აგენტები („განთავისუფლებული მხარეები“) პასუხისმგებლობისგან ნებისმიერი პრეტენზიის ან ქმედების მიზეზის გამო, რომელიც გამოწვეულია კონკურსში მონაწილეობით ან ნებისმიერი პრიზის მიღებით ან გამოყენებით. ეს გულისხმობს არა მხოლოდ შემდეგს: (ა) კონკურსში ადამიანის არამართლზომიერი ჩარევა; (ბ) ტექნიკური შეცდომები; (გ) ბეჭდვითი შეცდომები; (დ) საფოსტო გზავნილების დაგვიანება ან მიუღებლობა; (ე) შეცდომები კონკურსის ადმინისტრირების პროცესში. მონაწილე უარს ამბობს უფლებაზე განაცხადოს პრეტენზია იურისტის ნებისმიერ საფასურზე და ნებისმიერ ზიანზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ შემდეგს: საჯარიმო, მეორად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე.

**კონფიდენციალობა და საჯაროობა:** ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მონაწილე წარადგენს კონკურსში მონაწილეობისას, მიეწოდება EU4Energy საკომუნიკაციო პროექტს, და არა Facebook-ს. მონაწილე თანახმაა, რომ ორგანიზატორმა გამოიყენოს მონაწილის სახელი/გვარი და პროფილის სახელი გამარჯვებულთა ნებისმიერ სიაში (თუ შეესაბამება). ეს ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ გამარჯვებულებთან დასაკავშირებლად. გამარჯვებულის სახელი/გვარი და პროფილის სახელი შეიძლება გამოყენებული იყოს სარეკლამო მიზნებით რაიმე ანაზღაურების ან შემდგომი განხილვის გარეშე.

**დავები:** მონაწილე თანახმაა, რომ ნებისმიერი და ყველა დავა, პრეტენზია და ქმედების გამოძწევი მიზეზი, რომლის წყაროა ან რომელსაც იწვევს კონკურსი ან ნებისმიერი გადაცემული პრიზი, უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, რაიმე ფორმის კოლექტიური საჩივრის გარეშე, და მხოლოდდამხოლოდ ბრიუსელში მდებარე შესაბამისი სასამართლოს მიერ. ყოველგვარი საკითხი და შეკითხვა, რომლებიც უკავშირდება ამ ოფიციალური

---

<sup>2</sup> პრიზები მოიცავს მზის დამტენ მოწყობილობებს, დამატებით კვების ბლოკებს და სარეკლამო მასალებს.

წესების, მონაწილის უფლებების და ვალდებულებების, ან ორგანიზატორის უფლებების და ვალდებულებების შედგენას, საფუძვლიანობას, ინტერპრეტაციასა და განხორციელებადობას კონკურსთან დაკავშირებით, უნდა იმართებოდეს და განმარტებული იყოს ბელგიის კანონებით, ნებისმიერი სამართლის არჩევის ან კოლიზიური სამართლის ნორმების გარეშე (იქნება ის ბელგიის თუ ნებისმიერი სხვა იურისდიქციის), რომლებიც გამოიწვევდა ბელგიის გარდა ნებისმიერი სხვა იურისდიქციის კანონების გამოყენებას.

თანხმობა წესებზე: კონკურსში მონაწილეობა გულისხმობს იმას, რომ მონაწილე სრულად ეთანხმება ზემოაღნიშნულ წესებს.

შეკითხვები: ნებისმიერი შეკითხვა ან მოთხოვნა კონკურსის შესახებ შეგიძლიათ გაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე [EU4Energy@ecorys.com](mailto:EU4Energy@ecorys.com).